**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 178 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 178

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

| | |
|---|---|
| პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ჰღირს | 6 მან. |
| „ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე | 5 „ 50 კაპ. |

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისაა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

| | |
|---|---|
| პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში | 2 მან. 75 კაპ. |
| „ „ „ „ ქალაქ გარედ | 3 „ 50 „ |
| „ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში | 2 „ 50 „ |
| „ „ „ „ ქალაქ გარედ | 3 „ — |

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში**:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში**:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში**:—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში**:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში**:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა—ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი**: Тифлисъ, Редакція „Иверія“.



## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი | 7 ,, |

ჩვენ მიერ გამოცემულს წიგნების მყიდველებს მანეთში, **თითო აბაზი დაეთმობა**.

მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—1).



## საუკეთესო სააგარაკო ადგილები

## ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყეით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

## ისყიდება

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)



## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშანაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—10)


### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან — 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 სასაზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანტორისაგან**, ბ) სღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.**

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—16)


**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—6-7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელის ბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**მაჩაძე სპირიდონ**. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.



## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი**. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი**. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი**. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი**. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი**. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ზ. სოლოღაშვილი**. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი**. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**მ. ს. ელში**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა**. 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი**. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არშანიტაკი**. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.



## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე**. 11—12 საათ.

**ა. ტ. მუღინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი**. ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მოჩინი**. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტუმშელაშვილი**.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 **ს**. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ. მ. სოგოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი**. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**სამკურნალოში ჴხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.**

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროვატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროვატით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)


### ომის სურათები.

(ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკოს წერილი გაზ. «რუსკ. სლოვოში»).

#### I

ჩვენში ნამდვილი სიმშილია. ჯარის კაცი მხოლოდ პურით საზრდოობს. ზოგიერთ ადგილს, თუ შესაძლოა, წვნიანსაც იკეთებენ, თითოს ნახევარ გირვანქა ხორცს აძლევენ და მეტსაც. ჩვენც ხშირად დავმეზობლებივართ სალდათების საამხანაგო ქვაბს, რომელიც ყველა ჩვენთაგანისათვის ისე ადვილი ხელმისაწდომია, როგორც საერთო საფლავი. სალდათები სიამოვნებით და თავაზიანად გვიწვდიან თავიანთ ხის კოვზებსა და თავის გვერდით ბინას გვაძლევენ. ხოლო, საცა ჯარი არ არის დაბანაკებული, იქ კი საძაგლობაა. დღეს, მაგალითად, დუქანში შევედი. იქ სრულიად არა იყო-რა, ანანასის წნილისა და იაპონურ ლუდის მეტი, რომლისგან მოკალული სტომაქიც კი იბერება და იშლება. ვკითხამ:

— ვიჩინა ხომ არ არის, პური, სხვა რამე, რაც იჭმება?

აწოწოლავებული ბერძენი—დახლიდარი ცბიერად ლიკლიკებს:

— ანანაზია, ლუდია, კალგი, ლუდი, მეტი არავინ არის.

გულდაწყვეტილი ვშორდები და ვხედავ: მშიერი აფიცერი თავგანწირულად მიდის დახლთან (როგორც ციხეზე იერიშით მიდიან,—ან მოვკვდეთ ან გიორგი მივიღოთო) და კბილის კრაჭუნით ეუბნება:

— მოიტა ანანასი, ეშმაკმა-კი წაგიღოს... მოიტა ლუდი!..

კმაყოფილმა ბერძენმა, მომხიბლავის ღიმილით, შანჰაის თუნუქა და ვიწრო ყელიანი ბოთლი მიართვა.

— ბევლი ანანაზი არის, ბევლი ლუდი.

გამგელებულ აფიცერმა თვალი გადმოგვავლო ყველას და შემოგვჩივლა:

— მთელი დღე და ღამეა, ჩემს პირს ნაწილი არ მიჰკარებია.

თუნუქა გახსნეს და იქიდგან რაღაც სქელი. ყვითელ-ტალახის ფერი ტკბილი და საზიზღარი წვენი გადმოინთხა...

— ბოთლი გახსენ... ხომ არ ინებებთ ბატონებო?

ჩვენ უკან-უკან ვიწევთ. მე გუშინ ცოტაოდნად დავნაყრდი. არ ვიცი ჩინური ძაღლი იყო თუ ვირთაგვაა, ზეთში მოხრაკული... ანანასს მაინც სჯობდა, თავის წვენში გახრწნილ-დამჟავებულს, ვინ იცის, როდინდელს. აფიცერი ჰთქვლეფს ყვითელს ტკბილ ნაჭრებს. კბილებს აკრაჭუნებს და მაინც სჭამს... როდესაც შეეზიზღება, ლუდს დალევს.

იმას გვერდით აფიცერივე გაჩერებულა. ჯერ ვერ ვაუბედნია, ყოყმანობს, ხან მიუახლოვდება წოწოლა ბერძენს, ხან უკან იწევს. ბოლოს ველარ შეიმაგრა თავი:

— აი, გაგხეთქოს! ჩქარა მოიტა ანანასი და ლუდი.

— ანანასი ძაან კალკია...

— კარგი იქმნება, როცა გუშინ დილას აქეთ ლუკმა არ მინახავს.

მაინც ეტყობა თავის თავს არ ენდობა. პირველ აფიცრის პირდაპირ ჩამოჯდა,

იმას უყურებს და სჭამს. აი, სწორედ ესე გმირების გამბედაობა სუსტთა და მკრთალთაც ამხნევებს. მე შევყურებ ორთავეს და ვნატრობ, ნეტა სურათის გადაღება შეიძლებოდეს.

— კარგია?—ვეკითხები.

ისე შემომიბღვირს, თითქო ჩემი გაგლეჯა უნდათო.

— თუ გნებავთ, პურს გიშოვნით.

ორთავეს სახეს ერთბაშად ზრდილობიანობა დაეტყო. დაღრღნილი ანანასები დედა-მიწას დაახალეს და ბოთლები ფანჯარაში ისროლეს.

— კალგი ანანასია... ძალიან კალგი ანანასია...

— შენ კი, ღმერთმანი, ჩამოგახრჩობ!—მრისხანედ ღრიალებს პირველი აფიცერი.

II

სადგურებზე დუქნები ცალიერია. ჩრდილოეთიდგან არა მოდის-რა. ინკოუ (ნიუჯუანი) ყველაფერზე ფინიკიურ სარგებელს იღებს, ე. ი. ასზე სამასსა და ხუთასსა. აქა-იქ თითქო ბუფეტებია, მაგრამ შიგ არა ყრია-რა. ერთიბეწვა ბუფეტში 50—60 კაცი შეყრილა, სულ დამშეულ-დაქანცული. ყვირიან, ილანძღებიან, ჯავრობენ, ყველანი ერთად თხოულობენ საჭმელს. მყრალი სუნი, ბუზები, სიცხე, როგორც კარგს რუსულ აბანოში. ვხედავ ორკეცი გენერლები სამზარეულოს ჰუჰრუტანასთან მიმსხდარან და კატლეტს ელიან, რომელიც ჩინელმა მზარეულმა საზიზღარ ზეთში უნდა მოუხრაკოს. სამზარეულოები ბნელა, თითქო ბოლით არის მოდებულიო. თურმე ბეზები აბნელებენ. უიმათოდ აღარც საჭმელია და აღარც სასმელი. იმათ ბზუილისაგან კაცს აღარა ესმის-რა...

შემოვარდა დაღალულ დაქანცული, დასაზვერად მოსიარულე აფიცერი, ტალახში მოსვრილი, და ამაყად ჰყვირის:

— ცივი ლუდი, ჩქარა!

არა სცალიან, ეჩქარება, ისევ საზნელეთს უნდა წავიდეს ერთის წამით სინათლეზე გამოსული... ზედ ბუზები ასხდებიან და გარს კორესპონდენტები ეხვევიან. ხოლო იგი პირველებს არ იგერებს და მეორეებს ვერ ამჩნევს. სთვლემს. ლუდი ჭიქაში შიშინებს, კატლეტი ქონით მოისიპა...

— თუ შეიძლება გკითხოთ, თქვენ საიდგან მობრძანდებით?

ის ოდნავ ანძრევს წამწამს, უაზროდ აცქერდება წითელ სამაჯეს და, პასუხის მაგიერ, ამბობს:

— ჩვენ ჩერნოგორელები ვართ

ლუდი დადუღდა. კატლეტი ბუზებმა ჩააშავეს. დაქანცულ აფიცერს-კი სძინავს და ტკბილ სიზმარშია... იქმნება ალუბლის ბაღჩა ეზმანება სადმე ნოვგოროდ-სევერის მაზრაში, ლამაზ მასპინძელითურთ. ანუ მთავარ-სარდალს ჰხედავს, რომელიც გამწკრივებულ რაზმის წინ გიორგის ჯვრით აჯილდოვებს...

— იაპონელები არ შეგხვედრიან?

— სად არის? თვალ-დაჭყეტილი კითხულობს.

— როგორ თუ სად არის!

აქ ლუდს მოჰკრა თვალი და ყლუპ! გაამგზავრა ბუზებითურთ... კატლეტიც მიადევნა.

— თქვენ ხომ დასაზვერად იყავით. გელოდინებათ, ეხლა ისინი სად არიან?

— დასაზვერად... მართლა...

— ნამდვილი პროზა აგონდება. ალუბლის ბაღჩა და თეთრი ჯვარი გაჰქრნენ.

— ეი, დანიელ!

ყაზახი კარებთან გამოჩნდა.

— დალიე და წავიდეთ, დროა! გენერალი გაგვიწყრება.

აფიცერი ზლაზნითა დგება და კარში გადის. აგერ, ცხენის თქრიალიც ისმის. «ვოგზალის» კორესპონდენტები უკმაყოფილოდ თვალს ადევნებენ, მაგრამ მაინც ჯიბის წიგნში რაღასაც ინიშნავენ...

# ტფილისი

* * მის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის-ძის დაბადების გამო, გუშინწინ, 1 აგვისტოს, ალექსანდრე ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძარში, ალავერდის ეპისკოპოსის ექვთიმეს მიერ, ქალაქის სამღვდელოების თანამსახურებით, გარდახდილ იქმნა წირვა და სამადლობელი პარაკლისი, რომლის დროსაც მრავალჟამიერი უგალობეს მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ, უმაღლესად ახლად შობილს მემკვიდრე ცესარევიჩს და მთელს ავგუსტოესს ოჯახს. პარაკლისის შემდეგ არსენალის მთიდან 21-ჯერ დასცალეს ზარბაზანი. წირვასა და პარაკლისს აუარებელი საზოგადოება დაესწრო. ამავე დღეს წირვა-პარაკლისები გადაიხადეს სომეხ-გრიგორიანთა ვანქის ტაძარში, კათოლიკეთა და ლიუტერანთა ეკლესიებში, მაჰმადიანთა მეჩეთში და ებრაელთა თორაში.

* * გუშინ, 2 აგვისტოს, ნაშუადღევს ტფილისში ჩამობძანდა ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი არიოლისა, და ჩამოხტა «სევერნი ნომრებში». მისი მეუფება დარჩება ტფილისში ორს დღესა და შემდეგ გაემგზავრება სამშობლო სოფელ ნიქოზს, ქართლში.

* * «ცნობის ფურცლის» უკანასკნელ (1-ლ აგვისტოს) სურათებიანს დამატებაში, სხვათა შორის, დაბეჭდილია, გელათის მონასტრის ძარცვის გამო, ერთი სურათი, რომელსაც ქვეშ აწერია: „ხახულის ღვთის-მშობლის უძვირფასესი ხატი გელათის მონასტერში“. ეს სურათი ჩვენ ძლიერ გვეუცხოვა და გაგვიკვირდ კიდეც, რომ ანჩის ხატის მაცხოვრის ხატი «ცნ. ფურც.»-ლის რედაქციას ხახულის ღვთის-მშობლის ხატად გადაუნათლავს. კარგს ინებებს პატივცემული რედაქცია, თუ ამ საგრძნობელ შეცდომას გაასწორებს და ხახულის ღვთის-მშობლის ხატს მოათავსებს გაზეთის დამატებაში.

* * ტფილისის საკომერციო სასწავლებელში თავისუფალი ადგილები არის მხოლოდ მოსამზადებელ კლასის უმცროსსა და საშუალო განყოფილებებში და პირველ კლასში. უმცროს განყოფილებაში იღებენ 7—9 წლის ბავშვებს, საშუალო განყოფილებასა და პირველ კლასში მისაღები ეგზამენები მოხდება 25 აგვისტოს.

* * ტფილისის დედათა ინსტიტუტში საკონკურსო ეგზამენები მოხდება 1 სეკდემბერს, ხოლო ეგზამენები სხვა-და-სხვა სტიპენდიანტთათვის 7 სეკდემბერს.

* * ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში განმეორებითი ეგზამენები მოხდება 23 და 24 აგვისტოს, მისაღები ეგზამენები—25—28 აგვისტოს.

* * გუბერნატორის განკარგულებით, შესდგა კომისია ტფილისის თეატრების სეზონის დაწყებამდე დსათვალიერებლად. კომისიაში არიან საგუბერნიო ინჟენერი და პოლიციისა და ცეცხლის მქრობელ რაზმის წარმომადგენელნი,

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 ივლისი.

**ტოკიო.** (რეიტერი). იაპონელებმა 28 ივლისს მომხდარ ბრძოლაში 170 კაცი დაჰკარგეს. ელიან, რომ მთავრობა წინადადებით მიჰმართავს გერმანიას ცინდაოს მოსულ სამხედრო გემების შესახებ.

**ჩიფუ.** (რეიტერი). ჩინეთის კრეისერის ნავებმა აიყვანეს ფეხში დაჭრილი კაპიტანი როშჩაკოვსკი და 20 ჯარის კაცი. ადმირალი და გემ «ხაიუნ»-ის უფროსი კაპიტანი ჩენი ამბობენ, ჩინელებმა მეტი მხნეობა გამოიჩინეს, ვიდრე მათგან ელოდნენო. როცა პირველი კონტრ-ნაღმოსანი ჩინეთის სამხედრო გემების «ხასი»-სა და «ხაიში»-ს წინ მიდიოდა, მეორეს-კი ბუქსირით მიჰყავდა რუსეთის გემი «რეშიტელნი», ხაიში»-ზე ზარი დაჰკრეს. კონტრ-ნაღმიანი გემი ბრძანებას დაემორჩილა და გაჩერდა. ადმირალმა გამოუცხადა იაპონიის გემის უფროსს, ეს ნეიტრალიტეტის ცხადი დარღვევააო და მოითხოვა «რეშიტელნი»-ს დაბრუნება ჩიფუს. იაპონელმა უპასუხა, მეორე კონტრ-ნაღმოსანს დავეწევი და დავბრუნდები ჩიფუსაო. ადმირალმა სამ დაიჯერა იაპონელის პატიოსანი სიტყვა და გაუშვა იაპონიის კონტრ-ნაღმოსანი. ადმირალი მეტად შეძრწუნებულია; ის ავად გახდა და გემის უფროსობა კაპიტან ჩენს გადასცა. ამ უკანასკნელის სიტყვით, როცა იაპონელები შემოვიდნენ, ადმირალმა გაჰგზავნა აფიცერი «ფუჯიმოტო»-ს უფროსის დასარწმუნებლად, რომ «რეშიტელნი»-დან იარაღი წაღებულიაო; აფიცერმა და მეზღვაურებმა სიტყვა მისცეს და ამის შესახებ შედგენილ ქაღალდს ხელი მოაწერეს. ადმირალმა განუმეორა ეს ცნობები «ფუჯიმოტო»-ს უფროსს, რომელმაც უპასუხა, სრულებით არ ვაპირებ «რეშიტელნი»-ზე თავდასხმასაო. შემდეგ ჩინელმა ადმირალმა გაჰგზავნა აფიცერი ნავით მცურავ კანდელთან, იმ ადგილის ახლოს სადაც «რეშიტელნი» იდგა, რათა თვალყური ედევნებინა რუს-იაპონელთა მოქმედებისათვის. როცა როშჩაკოვსკიმ დაინახა, რომ საფრთხე ელოდა, სთხოვა ჩინელს, ასაფეთქებელი ყუმბარები მომეცით, ან ნაღმი ააფეთქეთ, ან არა და ჩვენ დასაცველად სათარეშო გემი გამოჰგზავნეთო. ჩინეთის აფიცერმა უპასუხა, ჩვენ მხოლოდ თქვენისა და იაპონელთა მოქმედებისათვის თვალ-ყურის დევნა მაქვს ნაბრძანებიო. მაშინ როშჩაკოვსკიმ თავი მოუყარა თავის მეზღვაურთ და უთხრა: შესაძლებელია, იაპონელები თავს დაგვესხნენო, პალუბაზე დაიძინეთ და სასთუმალ ქვეშ კასტეტები იქონიეთო. როცა იაპონიის ლეიტენანტი გემ «რეშიტელნი»-ს მოადგა, მასთან ერთად ავიდნენ რუსის გემზე იაპონელი მეზღვაურნი, თოფებითა და ხიშტებით შეიარაღებულნი. როშჩაკოვსკიმ პროტესტი გამოაცხადა, იარაღი არა მაქვს, რომ შეგებრძოლოთო და თქვენ, იაპონელები, ნეიტრალიტეტს არღვევთო. ამ დროს როშჩაკოვსკიმ ჩუმად უბრძანა თავის თანაშემწეს, მოემზადებინა თოფის წამალი გემ «რეშიტელნი»-ს ასაფეთქებლად. რათა დრო მიეცა ამ ბრძანების ასასრულებლად, როშჩაკოვსკიმ დაუწყო კამათი იაპონიის აფიცერს საერთაშორისო უფლების დადგენილებათა შესახებ. იაპონელი აფიცერი კი სულ იმას ეუბნებოდა, თქვენ, რუსები, უნდა გამოხვიდეთ და ზღვაში უნდა შეგვებრძოლოთო. ან მზად უნდა იყვნეთ, რომ ჩიფუდან ბუქსირით წაგიყვანოთო. ამ დროს რუსებმა ჩუმად გადასცეს ერთმანეთს უფროსის ბრძანება, მუშტებით წინააღმდეგობა გაუწიეთ მტერსაო. როშჩაკოვსკი ამბობს, იაპონელნი დამპირდნენ, ტყვედ დაგვნებდი და სიცოცხლეს გაჩუქებთო. «ამ სიტყვებმა ისე ამაღელვა, რომ მუშტი გავარტყი იაპონელსაო. არ ვიცოდი, მზად იყვნენ თუ არა გემის ასაფეთქებლად და ამ მუშტის დარტყმით გემიდან გადავაგდე იაპონელი აფიცერი, რომელმაც მეც ჩამითრია თან. იგი თავის ნავში ჩავარდა, მე-კი—ზღვაში, ხელს კი კისერში ვუჭერდი იაპონელს და მუშტსა ვცემდი, სანამ ხელიდან არ გამისხლტა. ამ დროს რუსები ებრძოდნენ იაპონელებს, რომლებმაც თოფები და ხიშტები იხმარეს. რუსები და იაპონელები წყვილ-წყვილად სცვივოდნენ ზღვაში. როშჩაკვსკი ეცადა გემზე ასულიყო და ისევ მიეღო გემის უფროსობა, მაგრამ ოთხჯერ ესროლეს წყალში და დასჭრეს მარჯვენა ფეხში. «რეშიტელნი»-ზე 51 აფიცერი და ჯარის კაცი იყო, აქედგან მხოლოდ 35 კაცის ბედ-იღბალი იციან. ჰფიქრობენ, რომ იაპონელთა ერთი ნაწილიც დაიღუპა. როშჩაკოვსკიმ ვერ მიაღწია «რეშიტელნი»-მდე და ცურვით წავიდა ჩინელთა მახლობელ ნავისკენ, მაგრამ ჩინელმა მეზღვაურებმა გძელი ჯოხი დაარტყეს და არ მიუშვეს ნავზე, თუმცა დაჭრილი იყო. მაინც როშჩაკოვსკი 50 წუთს გაჩერდა წყალში, სანამ ჩინელთა სამხედრო გემ «ხაიუნი» და ნავები არ გამოგზავნეს და არ წაიყვანეს. კაპიტანმა ჩენმა ბრძანება გასცა, როშჩაკოვსკი და ორი აფიცერი მისს საკუთარს კაიუტაში გადაეყვანათ. რუსის მატროსებს ჩინეთის ფლოტის მუნდირი ეცვათ და ამნაირად ჩაცმულნი გამოცხადდნენ დღეს რუსეთის საკონსულოში. იაპონელების გემმა «ფუჯიმოტო» მ წასვლის წინ მოხსენება გაუგზავნა იაპონიის საკონსულოს და არაფერი არ მიუწერია იმის შესახებ, რომ თოფები დაუშინა წყალში მყოფ რუსის მეზღვაურებს. ამ მოხსენებაში «ფუჯიმოტო» ამბობს, ადმირალის ბრძანებისამებრ ვიმოქმედე, უნდა ან შევბრძოლებოდი ან ხელში ჩამეგდო «რეშიტელნი»-ო. როშჩაკოვსკი ვერ მიხვდა, რატომ არ აფეთქდა იმისი გემი. რუსის მატროსები ამბობენ, გავიგონეთ. როცა ჩვენი უფროსი ეუბნებოდა იაპონელებს: «მომკალით; მე თავის დღეში ტყვედ არ დაგნებდებით!» როშჩაკოვსკის საყურადღებო მინდობილობა ჰქონდა და იაპონელთა მიერ «რეშიტელნი»-ს ხელში ჩაგდებამ, მგონი, ჩაფუშა რუსების განზრახვა. სანამ იაპონელები რუსის გემზე მოვიდოდნენ, როშჩაკოვსკიმ დასწვა საყურადღებო ქაღალდები. უცხოეთის კონსულებმა მოხსენება შეადგინეს მომხდარ ამბების შესახებ.

**პეტერბურგი.** გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბისადმი, 30 ივლისს: «მანჯურიის ჯარის რაიონში 30 ივლისს საყურადღებო არა მომხდარა-რა. ხუნხუზთა ბრბონი მოქმედებენ ანთაი-ბანსიხუს რაიონში; აქ ისინი თავს დაეცნენ ჩვენს სურსათის ტრანსპორტს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ».

**ტოკიო.** (ვოლფი). ცინდაოდგან ოფიციალურად იტყობინებიან, რომ რუსების სათარეშო გემებმა «ნოვიკ»-მა და «ასკოლდ»-მა ქვანახშირი წაიღეს და ნავთსადგურს გარეთ მიდი-მოდიანო. ეხლახან მოვიდა ნავთსადგურში კიდევ ორი ნაღმიანი გემი რუსებისა. ჯავშნიანი გემი «ცესარევიჩი» ნავთსადგურში იმყოფება.

**ლონდონი.** «ლლოიდს» ატყობინებენ ჰიბრალტრიდან, რომ ინგლისის გემ «რონდას» მოხსენებით, რომელიც გულიდან ნეაპოლში მიდიოდა, 30 ივლისს მასთან მისულა რუსის სათარეშო გემი, შეუმოწმებია ქაღალდები, დაუთვალიერებია გემი და შემდეგ ისევ გაბრუნებულა.

**ტოკიო.** (რეიტერი). ადმირალი ტოგო დეპეშით უიწყება, რომ 28 ივლისს ბრძოლაში, როგორცა სჩანს, რუსის ხუთი ჯავშნიანი გემი ძალიან უნდა იყოს

# ფელეტონი

## ორი სურათი.

(დასასრული *)

წარმოიდგინე, მკითხველო, ავლაბრის ერთს მიყრუებულს ქუჩაში ძველი, ერთსართულიანი სახლი, კრამიტით დახურული, მოაჯირებ მომტვრეულ ვიწრო აივნით. ამ სახლს წინ ეზო აქვს ფიცრულით შემოზღუდული, რომლის შუაშიაც აყუდებულია უზარმაზარი ალაყაფის კარები.

აი აქ ექირა გიორგის ქირით ერთი ოთახი, რომელშიაც თავსდებოდა თავის ცოლითა და სამის შვილით. მის ოთახის მორთულობას შეადგენდა განიერი ტახტი, კედლიდგან კედლამდე გაჭიმული, ფარდაგ გარდაფარებული, რომელზედაც გრძელი ვიწრო ლეიბი იყო დაგებული და ჩით-გადაკრული ძველი მუთაქები ელაგა. ტახტის პირდაპირ კედელთან მიდგმული იყო ოთხ-კუთხიანი სტოლი ლურჯის სუფრით გადაფარებული. ზედ იდგა ორი პირმოტეხილი თუჯის შანდალი და ამ შანდლებს შუა—სტაქანი, რომელშიაც ჩასმული იყო ხელოვნურ ყვავილების კონა. სტოლის თავზე ეკიდა დიდი მოღრეცილი სარკე, სარკის აქეთ-იქით გამწკრივებული იყო კედელზე გაკრული გაქონილი ფოტოგრაფიული სურათები. სარკესთან ცოტა მოშორებით ეკიდა ძველებური საათი, რომლის თავზედაც, ყოველ საათში ერთხელ, გაიღებოდა პატარა კარები, გამოხტებოდა გუგული და დაიძახებდა: «გუგუ, გუგუ»! ოთახის ერთს კუთხეში იდგა საჭურჭლე შაფი და მეორეში პატარა რგვალი სტოლი. ტახტთან კედლებზედ დაყუდებული იყო სალოგინე წალო, თეთრის ფარდით ჩამოფარებული. ოთახის მორთულობას ამთავრებდა ორი ჩაგლეჯილი სკამი და ერთი ტაბურეტკა.

ტახტზე ფანჯარასთან ახლო იწვა ავადმყოფი მაშო, გვერდით უჯდა შვიდის წლის ქალი და ხელსახოცით ბუზებს უგერებდა. მაშოს ფეხთით ტახტზე მოკეცილიყო ხუთის წლის ვაჟი, პერანგის ამარა, ტიკჭორასავით გაბერილი და ქაღალდის ხუხულებს აშენებდა. მის გვერდით მუცელზე წამოწოლილი იყო მისი მომდევნო ოთხის წლის ძმა, ისიც სულ ტიტლიკანა; თავი ხელებზე ჰქონდა დაყრდნობილი, ფეხები უკან წამოეკეცა და სულ-განაბული თვალს ადევნებდა თავის ძმის არქიტექტურას. ხან კი მობეზრდებოდა ყურება, უცებ შეუბერავდა და სულ დაუნგრევდა ხუხულებს. ამაზე ასტყდებოდა ერთი საშინელი ღრიალი რის ვაივაგლახით ძლივს ჩააჩუმებდა მათ ბებერი დედაკაცი—მაშოს მეზობელი, რომელიც ათასში ერთხელ შემოდიოდა და ავადმყოფს უვლიდა.

დილის 10 საათი სრულდებოდა, მაგრამ ავადმყოფს ისევ ეძინა. გული აზვირთებულ ზღვასავით ასდიოდა და დასდიოდა. გახშირებითა სუნთქავდა. მთელი ღამე საშინელ სიცხეს აძლევდა, თითქმის უგონოდ იყო. ცივ ოფლს ასხავდა და ძილი სრულებით არ მოსდიოდა. გათენებისას, როგორც იყო, ჩაეძინა.

გიორგი გულ-ხელ დაკრეფილი იდგა, ნაღვლიანად დასცქეროდა მაშოს და ვერ გადაეწყვიტა, — წასულიყო სამუშაოდ, თუ ცოლთან დარჩენილიყო. გული ერთს ეუბნებოდა, მაგრამ როდესაც წარმოიდგენდა რომ შესაძლო იყო მისი ოჯახი მშიერ-მწყურვალი დარჩენილიყო, უცებ დააპირებდა წასვლას, მაგრამ მალე გადაჰხედავდა ძვალ-ტყავად ქცეულს მძინარე მაშოს, გული ამოუჯდებოდა, საშინელს სიბრალულს იგრძნობდა მისდამი და ისევ გაქვავებულსავით ერთს ადგილს რჩებოდა უძრავად.

გიორგი საშინელს დაღალვასა ჰგრძნობდა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭნია, სულ თავს დასტრიალებდა მაშოს. ძილი ეროდა, მაგრამ წაუსვლელობა ყოვლად შეუძლებელი იყო. ისეც მუშტარი ძალიან ცოტა ჰყავდა და ერთის დღის მოცდენა მისთვის საგრძნობლად დარჩებოდა

ამ ყოყმანში რომ იყო, უცებ გამოხტა გუგული და გაიძახა: «უჰუ, უჰუ!» თითქოს უკვირს, გიორგი ჯერ კიდევ აქ არის და სამუშაოდ არ წასულაო!

ამ ხმაურობამ გიორგი გამოარკვია. როგორც იყო თავს დასძლია და გამოვიდა გარედ.

ეზოში უცებ მოაგონდა, რომ საჩექმე ტყავი ჰქონდა საყიდელი. ამიტომ სახელოსნოში აღარ წავიდა და პირდაპირ ტყავის საწყობისაკენ გასწია. შეგირდს დილითვე გაატანა დუქნის გასაღები და უთხრა: მეც მალე მოვალო.

რომ მიდიოდა ალექსანდრეს ბაღთან, ბულვარზე, ერთი ნაცნობი ექიმი შეჰხვდა გზაში, რომელსაც ერთ დროს ბაშმაკებიც შეუკერა.

ამ ექიმს თითქმის ყველა იცნობდა, როგორც დაუზარებელსა და პატიოსანს ადამიანს. ღარიბს არასოდეს ფულს არ ართმევდა, ის ყოველთვის მზად იყო შემწეობა რამ აღმოეჩინა.

გიორგის ექიმებისა არა სწამდა-რა და ხშირად იტყოდა ხოლმე—თუ ღვთის ნება არ არის, ექიმი ვერას გახდებაო; რაც კაცს შუბლზე აწერია, ის უნდა გადახდესო — ამისათვის იყო, რომ მაშოსათვის ექიმი არ მოუწვევია. მაგრამ რაკი ბოლოს დროს ასეთს გაჭირვებაში ჰხედავდა ცოლს და ეს ნაცნობი ექიმიც თითქოს რაღაც ბედზედ ქუჩაში შეჰხვდა, იფიქრა: «ვსთხოვ, იქნება მართლა უშველის რასმეო». ეს უკანასკნელი ღონისძიება იყო, გაჭირვებული ხავსს ეჭიდებოდა. უცებ გამოტრიალდა, ექიმს მოეწია და, როდესაც დაუმხარდამხარდა, ქუდი მოუხადა და კრძალვით უთხრა:

— უაცრავად, ბატონო, თქვენ ექიმი ვერესაშვილი არა ბრძანდებით?

ექიმს თითქმის შეეშინდა, ისე ანაზდეულად ჰკითხა გიორგიმ, მაგრამ ბოლოს იცნო და კითხვითვე უპასუხა:

— ვერესაშვილი ვარ, რა იყო, რა გინდა?

— შენი ჭირიმე, ბატონო, ცოლი ძალიან ავადა მყავს და უნდა წამობძანდე, რასაც მთხოვ, მოგართმევ, ოღონდ კი ის როგორმე მამირჩინე.—და აქ გიორგიმ უამბო, როგორც თავის ცოლის, ისე მთელის ოჯახის გარემოება, თავისი სიღარიბე და გაჭირვებული ცხოვრება.

ექიმი ჯერ სულ პირში შესცქეროდა გიორგის და გულ-დასმით უგდებდა ყურს მისს ლაპარაკს, მერე სადღაც შორს სივრცეში დააშტერა თვალები, წარბები ოდნავ შეიკრა და ეტყობოდა, რომ რაღაც ფიქრში უნდა ყოფილიყო წასული. ვინ იცის, რამ გაუელვა თავში ექიმს და რას ჰფიქრობდა ამ დროს. გიორგიმ რომ ლაპარაკი გაათავა, ექიმმა უცებ შეჰხედა და უთხრა:

— ეხლა არა მცალიან, სხვაგან მივეშურები. საღამოს შვიდ საათზე მოდი ჩემთან და ერთად წავიდეთ.

ექიმმა სახლი ასწავლა გიორგის, გამოემშვიდობა, მერე მეეტლეს დაუძახა, ჩაჯდა ეტლში, კიდევ უთხრა «მშვიდობით» და თავის გზას გაუდგა.

---

ვანო მიდიოდა და გიორგი კი ამ დროს მარტო იჯდა და გონებიდგან არა ჰშორდებოდა თავისი საყვარელი მაშო. «იქმნება ღმერთმა მიბრალოს და ვანომ კარგი ამბავი მომიტანოსო»,—ჰფიქრობდა გიორგი და სცდილობდა თავისი თავი რითიმე ენუგეშებინა და დაემშვიდებინა,—წინადაც ყოფილა ავად, მაგრამ ღვთით მორჩენილაო. —ანუგეშებდა თავს გიორგი, მაგრამ ამ დროს გული თითქოს სხვა არა სასიამოვნოსაც ეუბნებოდა და ჰგრძნობდა, რომ აი ეხლა, სულ მალე, რაღაც მოულოდნელი უბედურება უნდა დასტეხოდა თავს. უცებ რაღაც შავმა ფიქრმა გაუელვა

*) იხ. «ივერია» № 176.

დაზიანებულიო. ჯავშნიან გემ «პობედა»-ზე ორი ანძაა მოგლეჯილი და დიდი ზარბაზანია გაფუჭებული; «რეტვიზანს» რამდენჯერმე მოჰხვდა ყუმბარა და ძალიან უნდა იყოს დაშავებული. რუსის სათარეშო გემები შედარებით ნაკლებად არიან დაზიანებული; სულ ხუთი სათარეშო გემია დაზიანებული. დაშავებული იაპონელთა გემები დროებით შეკეთებულია.

**ჩიფუ.** (რეიტერი). რუსების ზარალი ნაღმოსან «რეშიტელნი»-ზე უმნიშვნელოა; ზღვაში რომ მეზღვაურები გადაცვივდნენ, გარდასარჩენი სარტყლები ჰქონდათ. კაპიტანი და რამდენიმე დაჭრილი მეზღვაური საავადმყოფოში წევან. რუსის ერთმა მეზღვაურმა რამდენიმე იაპონელი გადააგდო ზღვაში, სანამ მისს მოკვლას მოასწრებდნენ. რუსები ირწმუნებიან, რომ იაპონელებმა შებრძოლების დაწყებისთანავე დაიწყეს სროლაო.

**ვაშინგტონი.** (რეიტერი). ჩიფუში მომხდარმა ამბავმა დიდად დააფიქრა საზოგადოება, თანამდებობის კაცნი და სახელმწიფო დეპარტამენტი. თავდასხმა «რეშიტელნი»-ზე ჩინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევაა. აქ ეშინიანთ, რომ იმ შეთანხმების დარღვევა, რომლის ძალითაც სამხედრო მოქმედების რაიონი მანჯურიასა და კორეას არ უნდა გასცილდეს, ჩაითრევს ომში ჩინეთსაც, როგორც იაპონიის მოკავშირეს. შეერთებული შტატები, სხვა სახელმწიფოებთან ერთად, ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ შეთანხმება ხელუხლებელი დარჩეს სავსებით.

**ჩიფუ.** კრეისერი «პალადა» არ მოსულა. «ცესარევიჩი» და სამი ნაღმოსანი ცინდაოში შეიცდიან. ჰგონებენ, «ნოვიკი» ვითომ წავიდა ცინდაოდან 24 საათის შემდეგო. «ცესარევიჩი» ძალიან არის დაზიანებული; შეკეთებას შეუდგნენ. ირწმუნებიან, რომ გერმანელები ეხმარებიან რუსებს მუშაობაში. ძლიერი რაზმი იაპონელ გემებისა სამხრეთისაკენ წავიდა, რომ ვლადივასტოკის ესკადრა დაიჭიროს. ვლადივასტოკის ესკადრას ჯერ ვერ მოუსწრია შეერთება იმ სათარეშო გემებთან, რომელნიც არგენტინიდან მოდიან.

**ცენტინიე.** (კორესპ. ბიურო) მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო მონასტერში გადაიხადეს პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლოოზი, მემკვიდრე დანილო, მთავრინები მილენა და მილიცა, რუსეთის სადიპლომატო რწმუნებული, მინისტრები, წარჩინებულნი და დიდ-ძალი ხალხი. ზარბაზნები 21-ჯერ დასცალეს. მთელს ქალაქში მუსიკა უკრავს. პარაკლისის შემდეგ მიულოცეს რუსეთის მისსიას; ხალხმა თანაგრძნობის მანიფესტაცია მოახდინა რუსეთის სადიპლომატო წარმომადგენლის სახლის წინ.

**ვილნო.** მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო გენერალ გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ განათავისუფლონ ყველა ისინი, რომელნიც დატიმრებულნი არიან სავალდებულო დადგენილებათა ძალით.

**პარიჟი.** ლუბემ დეპეშით მხურვალედ მიულოცა ხელმწიფე იმპერატორს მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადება და უსურვა დედოფლის მალე განკურნება და მემკვიდრისა და მთელ სამეფო სახლის ბედნიერება.

**მოსკოვი.** მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად მოსკოვი დაარსებს საპროფესიონალო სასწავლებელს 300 ვაჟისათვის.

1 აგვისტო.

**პეტერბურგი.** გენერალ ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, 30 ივლისს: «მივიღე 30 ივლისს გამოგზავნილი მოხსენება ჩიფუში მყოფ რუსის კონსულისაგან. ამ მოხსენებით, წინა ღამეს იაპონიის ორი ნაღმოსანი ნავთსადგურში შესულა დილის 3 საათზე და თავს დასცემია ჩვენს ნაღმოსანს «რეშიტელნი»-ს, რომელსაც წინა დღეს ჩინეთის მოხელესთან შეთანხმებით იარაღი აჰყარეს. ეს ამბავი იაპონელებს სცოდნიათ. «რეშიტელნი» აფეთქებულ იქმნა გემის უფროსის ბრძანებით, მაგრამ გემი არ ჩაუძირავს და იაპონელებს ნავთსადგურიდგან გაუყვანიათ. ცურვით გადარჩნენ გემის უფროსი როშჩაკოვსკი, აფიცრები კანევსკი, სერგეი პეტროვი და კისლიაკოვი და მეზღვაურთა უმრავლესობა. გადარჩენილნი ამბობენ, იაპონელები თოფებს გვესროდნენო».

კონტრ-ადმირალ მატუსევიჩის დეპეშა მისს უდიდებულესობას, 30 ივლისს: «უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ 28 ივლისს, გათენებისას, ჩვენმა ესკადრამ დაიწყო პორტ-არტურის ნავთ-სადგურიდან გამოსვლა. ესკადრაში იყო ექვსი ჯავშნიანი გემი, სათარეშო გემები: «ასკოლდი» «დიანა» „პალადა“ და «ნოვიკი» და რვა ნაღმოსანი. იაპონელებმა ჩვენს წინააღმდეგ თავი მოუყარეს სამს რაზმს; პირველს რაზმში იყო: ჯავშნიანი გემები „ასახი“, «მიკაზა», «ფუჯი», «იაშიმა» და «შიკშიმა» და სათარეშო გემები «ნისინი» და «კასუგა»; მეორე რაზმში: სათარეშო გემები «იაკუმა», «კასაგი», «ჩიტოზა» და «ტიკასაგო»; მესამე რაზმში: სათარეშო გემები «აკიცუშიმა», «იძუმი», «მაძიშიმა», «იძუკიშიმა» და «ხაშიტადო», ჯავშნიანი გემი «ჩინ-იენი» და ოცდა-ათი ნაღმოსანი. ჩვენი ესკადრა მხნედ მოძრაობდა და სცდილობდა მტრის გემთა რაზმების გარღვევას. ამ დროს იაპონიის ნაღმიანი გემები ჩვენის ესკადრის წინ, გზაზე, ნაღმებს აწყობდნენ, რაც ხელს უშლიდა ჩვენის ესკადრის მოძრაობას. ნაშუადღევის პირველ საათზე, 40 წუთის ბრძოლის შემდეგ, ჩვენმა ესკადრამ მოახერხა გზის გარღვევა და შანტუნგისკენ წასვლა. მტერი თან-და-თან გვიახლოვდებოდა. ხუთ საათზე ბრძოლა ისევ განახლდა. ბრძოლამ რამდენსამე საათს გასტანა. ბროლის დროს მოკლულ იქმა ესკადრის უფროსი და დაჭირა და გრძნობა დაჰკარგა ჯავშნიან გემის «ცესარევიჩ»-ის უფროსმა. ამავე დროს გაფუჭებულ იქმნა მანქანა და საჭე «ცესარევიჩ»-ისა; 40 წუთის შემდეგ „ცესარევიჩი“ გაჩერდა, რის გამოც სხვა გემები იძულებულნი იყვნენ, იმის გარშემო ევლოთ. ესკადრის უფროსობას შეუდგა თავ. უხტომსკი, ხოლო ჯავშნიან გემის «ცესარევიჩ»-ისას—უფროსი აფიცერი. როდესაც ჩამობნელდა, „ცესარევიჩ“-მა ველარ შესძლო ესკადრასთან სიარული, მოტრიალდა და სცადა ვლადივოსტოკისკენ წასვლა. ღამე იაპონელებმა ნაღმებით იერიში მიიტანეს «ცესარევიჩ»-ზე. გათენებისას, შანთუნგის მახლობლად, მეზღვაურებმა გასინჯეს «ცესარევიჩი», მაგრამ იმდენად დაზიანებული აღმოჩნდა, რომ ვლადივოსტოკამდე მისვლას ველარ შესძლებდა, ამიტომ გემს ნება მიეცა კიაო-ჩაოში წასულიყო შესაკეთებლად. ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა ადმირალი ვიტგეფტი, საფლაგმანო შტურმანი აზარიევი, ფლაგ-აფიცერი ელისი და შტურმანი დრაგიჩევიჩი. მსუბუქად დავიჭერ მე; დაიჭრნენ აგრეთვე კეტლინსკი, უფროსი ფლაგ-აფიცერი კედროვი, ფლაგ-აფიცერი კუშნინიკოვი, ჯავშნიანი გემის უფროსი ივანოვი, შუმოვი, ნენიუკოვი, პილკინი და ლეონტიევი. მოკლულ და დაჭრილ მეზღვაურეთა რიცხვი ჯერ დანამდვილებით არ არის გამორკვეული. საღამოს 9 საათზედ მოვედით კიაო-ჩაოში, სადაც დაგვიხვდა სათარეშო გემი «ნოვიკი»—და ნაღმოსანი «ბეზშუმნი». ბედნიერი ვარ მოვახსენო თქვენს უდიდებულესობას, რომ აფიცრები და მეზღვაურნი მამაცად იბრძოდნენ».

**ხარბინი.** (სააგენტ. საკუთ. კორესპ.). ვლადივოსტოკის ესკადრამ სამი დღე ითარეშა იაპონიის აღმოსავლეთ ნაპირებზე, შიშის ზარი დასცა ზღვის პირს ხალხსა და გემების მოძრაობა სულ შეაყენა. უცხოელებმა დაადგინეს, იაპონიაში საქონელი მხოლოდ იმ პირობით წავიღოთ ხოლმე, თუ ქირას წინადვე მოგვცემენ ოქროს ფულითაო.

„ნაიტ-კომანდერ“-ის მეზღვაურნი ამბობენ, არას დროს არ მოველოდით, რომ ზღვაში რუსები შეგვხვდებოდნენო. მცხოვრებნი დამშვიდდნენ.

**შანჰაი.** სათარეშო გემი «ასკოლდ» ი ვუზუნში მოვიდა, ამ გემს წყალ ზევით გვერდი აქვს ჩამტვრეული და მეხუთე საკვამლე დანგრეული. კონტრ ნაღმოსანი „გროზოვი“ მდინარეში შემოვიდა, რადგან მანქანა აქვს შესაკეთებელი. აფიცრები ამბობენ, რუსის გემებმა გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ იაპონიის ფლოტის წრე გაარღვიეს და აქეთ-იქით გაიფანტნენო. «ასკოლდი» და «გროზოვოი» 31 ივლისს მოვიდნენ აქა. ,,ასკოლდი‘‘ თხოულობს, ნება მომეცით ნავსადგურში დავრჩეთ, რადგან ზღვაში დგომა არ შემიძლიანო.

**ტოკიო.** (ვოლფი) ოფიციალურად. ადმირალი ტოგო იუწყება, რომ რუსეთის ესკადრა 28 ივლისს გავიდა პორტ-არტურიდან და სამხრეთისაკენ გაემართა. იაპონიის შეერთებული ფლოტი თავს დაეცა რუსეთის ესკადრას პორტ-არტურიდან 25 მილის მანძილზედ სამხრეთ-აღმოსავლეთით; რუსეთის ესკადრა აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდა და იაპონიის ფლოტი უკან დაედევნა. ცხარე ბრძოლა გაიმართა ნაშუადღევის 1-ლ საათიდან და გაგრძელდა მზის ჩასვლამდე. შემდეგში რუსების ზარბაზნების სროლა შესამჩნევად შესუსტდა; იმათი საომარი წეს-რიგი დაირღვა და გემები ერთმანეთში აირივნენ: „ასკოლდმა“ «ნოვიკმა», «ცესარევიჩმა», «პალადამ» და რამდენმამე კონტრ-ნაღმოსანმა თავს უშველეს და სამხრეთისაკენ გაიქცნენ. დანარჩენებმა უკან დაიწიეს; ღამე მათზე იერიში მიიტანეს იაპონიის ნაღმოსნებმა და რუსეთის უკან დაწეული გემები, ალბად, ისევ პორტ-არტურის ნავთსადგურში შევიდნენ. იაპონიის ფლოტს თვალსაჩინო ზარალი არ უნახავს; მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 170 კაცი უნდა იყოს.

მიკადომ უბრძანა მარშალს ოიამას, მიეცი ქალებს, სასულიერო წოდების კაცთ, ვაჭრებსა და სანეიტრალო სახელმწიფოთა სადიპლომატო წარმომადგენლებს, დასტოვონ პორტ-არტურიო; უბრძანა აგრეთვე, მფარველობა გაუწიოს ყველა ამათაო. ოიამამ ნება მიიღო ამასთანავე, ხსენებულთა გარდა, პორტ-არტური დაატოვებინოს მშვიდობიან მცხოვრებთაც, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მათ მონაწილეობა აღარ მიიღონ ბრძოლაშიო.

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ალექსეი ნიკოლოოზის ძე დაინიშნა შეფად ფილიანდიის ლეიბ-გვარდიისა, ლიტოვის მე 51 და აღმოსავლეთ-ციმბირ-ის მე-12 პოლკებისა; აგრეთვე ჩარიცხულ იქმნა ყველა იმ პოლკებსა და გვარდიის ნაწილებში, რომლის შეფადაც ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდება, აგრეთვე კავალერგარდიისა, კირასირთა ლეიბ-გვარდიისა, ულანთა ლეიბ-გვარდიისა, და გრენადერთა ერევნის მე-13 პოლკებში.—ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული დაინიშნა შეფად ალექსანდრიის დრაგუნთა მე-15 პოლკისა.—ბიულეტენი: «ხელმწიფე დედოფალს ალექსანდრა თეოდორეს ასულს ღამე კარგად ეძინა. ტემპერატურა 36,9; მაჯა—78. თვითგძნობიერება მშვენიერი აქვს. უმაღლესად ახლადშობილი ჯანმრთელად არის.

**პეტერბურგი.** ლეიტენანტ როშჩაკოვსკის დეპეშა მისს უდიდებულესობას, 31 ივლისს: «უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ 29 ივლისს ნაღმოსან «რეშიტელნით» პორტ-არტურიდან ჩიფუში მივედი, თან მივიტანე საყურადღებო დეპეშები, გავარღვიე მტრის გემთა ორი წრე, და ადმირალ გრიგოროვიჩის მოხსენების თანახმად, იარაღი ავყარე გემს და სამხედრო დროშა ჩამოვუშვი, ყველა საჭირო წესი და რიგი შესრულებულ იქმნა 29 ივლისს, ღამე, იმ დროს, როდესაც შიდა ნავთსადგურში ვიყავით, იაპონელები ყოჩაღურად თავს დაგვესხნენ, მოვიდა იმათი ორი ნაღმოსანი და ერთი კრეისერი. შემდეგ რაზმი და აფიცერი გამოჰგზავნეს ვითომ და მოსალაპარაკებლად. რადგან იარაღი არა გვქონდა, ვუბრძანე «რეშიტელნი» მოემზადებინათ ასაფეთქებლად. როდესაც იაპონელები ჩვენს გემზე დროშის ამართვას შეუდგნენ, მე სილა გავარტყი იაპონელ აფიცერს, წყალში გადავაგდე და ვუბრძანე მეზღვაურთ, მტრის ჯარის კაცნი წყალშივე გადაეყარათ. მაგრამ ჩვენმა წინააღმდეგობამ სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა და იაპონელებმა ხელთ ჩაიგდეს ჩვენი ნაღმოსანი. აფეთქება გემის წინა ნაწილსა და სამანქანო განყოფილებაში მოჰხდა, მაგრამ გემი «რეშიტელნი» არ ჩაიძირა და იაპონელებმა ნავსადგურიდან გაიყვანეს. იმედი მაქვს, რომ იაპონელები გემს თავიანთ ნავთსადგურამდე ვერ მიიყვანენ. მეზღვაურნი და აფიცრები გადარჩნენ, მენაღმის ვალოვიჩისა და კაჩევარის ზვირბულის გარდა. დაიჭრა 4. მიჩმან პეტროვს, რომელიც ხელს უშლიდა ჩვენს გემზედ იაპონიის დროშის აფრიალებას, თოფის კონდახი ჩაარტყეს გულში და დააშავეს. მე მარჯვენა თეძოში დავიჭერი. ტყვია ჯერ არ არის ამოღებული. აფიცრები და მეზღვაურნი ძალიან კარგად იქცეოდნენ. საიმპერატორო ვიცე-კონსულმა დიდი მფარველობა და თანაგრძნობა გაგვიწია».

გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა მისს უდიდებულესობას 31 ივლისს. «30 ივლისს გამოგზავნილ დეპეშის დასამატებლად, ჩიფუში მყოფ კონსულის მოხსენების თანახმად, უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს უდიდებულესობას, რომ ვიდრე კონსულს მოლაპარაკება ჰქონდა ტაო-ტაისთან «რეშიტელნი»-ს ჩიფუში დარჩენის შესახებ მანქარის შესაკეთებლად, ამ გემის უფროს კონტრ-ადმირალის გრიგოროვიჩის ინსტრუქციის თანხმად, რადგან მანქანა გაფუჭებული იყო, ჩინეთის ადმირალს მოელაპარაკა იარაღის აყრის შესახებ და იმასვე გადასცა ზარბაზნების კლიტეები, თოფები და ნაღმების სასროლები. შემდეგ დროშა ჩამოუშვა. იაპონელების თავ-დასხმის შემდეგ ლეიტენანტი როშჩაკოვსკი, მიჩმანი პეტროვი, მექანიკოსი კისლიაკოვი და 21 მეზღვაური ჩინეთის კრეისერის ნავმა გადაარჩინა, ხოლო ლეიტენანტი კანევსკი და 22 მეზღვაური—მცურავ კანდელის კაცებმა და სავაჭრო გემების ნავებმა, «რეშიტელნი»-ზედ 47 კაცი იყო; აკლია 4. გემის უფროსი ტყვიით დაიჭრა თეძოში; ჭრილობა მძიმეა, მაგრამ საშიში არ არის. დაჭრილი უფროსი გემისა და ავადმყოფი მიჩმანი პეტროვი მოათავსეს ფრანგ მისიონერთა საავადმყოფოში, იქვე მიიყვანეს ერთი მსუბუქად დაჭრილი მეზღვაური».

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესის ბრძანებით, 30 ივლისს გარეშე საქმეთა მინისტრმა დაავალა პარიჟში მყოფ რუსეთის ელჩს, სთხოვოს საფრანგეთის მთავრობას, რომ რესპუბლიკის ტოკიოში მყოფ წარმომადგენელს მიენდოს, რუსეთის მთავრობის მხრით ენერგიული პროტესტი გამოუცხადოს იაპონიის მთავრობას, როგორც ჩინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევისა, ისე საერთაშორისო უფლებათა პრინციპების შებღალვის გამო, რაც გამოხატა ჩიფუში რუსეთის გემზედ თავ-დასხმით; ამასთანავე გამოუცხადოს იაპონიის მთავრობას, რომ ნეიტრალიტეტის ასეთს დარღვევას შესაძლებელია მეტად სახიფათო შედეგი მოჰყვეს.

**მუკდენი.** (სააგენტოს საკ. კორესპ.). ხმა არის, რომ იაპონიის ჯარმა ანშანჯანიდან უკან დაიწია სამხრეთისაკენ. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ იაპონელებმა, როგორც ამბობენ, მაშველი ჯარი გაჰგზავნეს პორტ-არტურისაკენ. გუშინ ანშანჯანში სამხრეთიდან ზარბაზნების ხმა ისმოდა; ამბობენ, რომ სიმუჩენისაკენ წინ წაწეულ რუსეთის ჯარს ბრძოლა მოუხდა იაპონელებთან და ამათ უკან დაიხიესო.

**მუკდენი.** როგორც ამბობენ, პორტ-არტურის გარ-შემორტყმულ იაპონელთა მხედრობას მაშველი ჯარი მისვლია. იაპონელები ორ ჯგუფად არიან დამწკრივებულნი: ერთი ლუნვანტანისა და ბუხტა ტახეს შუა მთებზე, მეორე—ბუხტა ლუიზასა და «ათის გემის» ბუხტას შუა, დანარჩენი ზარბაზნები „მგლის გორს“ აღმოსავლეთით მთებზეა დალაგებული.

**ტოკიო.** (ვოლფი). ოფიციალურად ჩიფუდან 29 ივლისს მოსული დეპეშით იტყობინებიან, რომ რუსის ორი ნაღმოსანი გემი ხმელეთს გამოირიყა ვეი-ჰაი-ვეიდან აღმოსავლეთით 20 მილის მანძილზეო.

სათარეშო გემმა «ტაკაჩიხო»-მ საადმირალოს აცნობა უმავთულო ტელეგრაფით ტაკიშიკიდან, რომ დღეს, დილით 5 საათზე, იაპონელთა და ვლადივოსტოკის ესკადრას შუა ბრძოლა გაიმართა კუნძულ ცუსიმასთანაო.

**ჩიფუ.** (რეიტერი) ამბავი მოვიდა, რომ ვეი-ჰაი-ვეის რუსის 60 მეზმეზღვაური მისულა ნავით. ჰფიქრობენ, რომ ესენი იმ ორ კონტრ-ნაღმიან გემის მეზღვაურნი არიან, რომელნიც ვეი-ჰაი-ვეის გაირიყნენ.

**ვეი-ჰაი-ვეი.** (რეიტერი) ნაღმოსანი „ბურნი“ შანდუნის კონცხიდან სამხრეთისკენ გაირიყა და ამიტომ ააფეთქეს. სამი აფიცერი 60 მეზღვაერი ფეხით მოვიდა აქ საღამოს და, ალბად, ჰონგკონგს გაჰგზავნიან აქედან ინგლისის სამხედრო გემით.

**ვაშინგტონი.** (რეიტერი). სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, არ შეგვიძლიან ჩინეთსა, იაპონიასა, ან რუსეთს ძალა დავატანოთ, რომ უთუოდ შეასრულონ სახელმწიფოთა შორის დადებული დადგენილებანი და შეთანხმება იმ ადგილების შესახებ, რომელიც საომარ ასპარეზადაა დანიშნული. შეერთებულ შტატებს მხოლოდ ზნეობრივი ზედ-გავლენა შეუძლიან იხმაროს შეთანხმების დასაცველად.

სახელმწიფო მდივანმა ჰეიმ გამოაცხადა რომ ამერიკასა და ოსმალეთს შუა ინცინდენტის გამო, პორტამ სრული თანხმობა გამოუცხადა ამერიკის შეერთებულ შტატებმა ყოველსავე მოთხოვნილებაზეო. ინცინდენტი დასრულდა.

**სტოკჰოლმი.** ჯავშნიანი გემი «ტორი» სტოკჰოლმს ახლო კლდეს დაეჯახა და გაირიყა.

**მუკდენი.** ნამდვილი ხმებია დავარდნილი, მტრის დიდ ძალი ჯარი, უეჭველია კუროკის ლაშქარი, ამ ჟამად სამხრეთ აღმოსავლეთიდგან ჩრდილო-დასავლეთად მიიწევს. ყველაფერი გვიჩვენებს, რომ ძალიან მალე შესანიშნავი ამბები მოხდება.

**ლონდონი.** როდესაც ბიუჯეტის შესახებ მჯელობდენ ინდოეთის საქმეთა სტატ-სეკრეტარმა ბროდრიკმა საზოგადოებათა პალატაში განაცხადა, რომ გენერალმა კიტჩენერმა შეიმუშავა გეგმა, თუ როგორ უნდა გადაკეთდეს ინდოეთის ჯარების სამობილიზაციო წესწყობილება. გეგმა გადაეცა განსახილველად ინდოეთის მთავრობას. თიბეთის ექსპედიციის შესახებ ბროდრიკმა სთქვა: «ჩვენ ჩავედით ლხასსში იმ განზრახვით, რომ თავს დავანებებთ ქალაქსა, მოხდება თუ არა შეთანხმება. მთავრობას განზრახვა არა აქვს დააფუძნოს ლხასსში პროტექტორატი, ანუ დანიშნოს რეზიდენტი, მაგრამ მტკიცედ გადასწყვიტა, იძულებულ ჰყოს პატივით მოეპყრან ინგლისის სახელსა. რუსის მთავრობას დაწვრილებით განვუმარტეთ საქმეთა მდგომარეობა და მივიღეთ კმაყოფილება. ამისგამო იმედი უნდა

---

თავში. ტანში ჟრუანტელმა გაურბინა, თვალთ უბნელდებოდა და წინ ეხეტებოდა ერთი მეორეზედ უფრო საშინელი და გულის შემზარავი სურათი. აი, ვითომ მაშო უკანასკნელს დღეშია და თავისს გიორგის ეძახის. უნდა უკანასკნელად გადაეხვიოს და გამოეთხოვოს თავისს საყვარელს მეუღლეს. თითქოს ესმის კიდეც გიორგის მისი ლაპარაკი—მაპატიე, ჩემო გიორგი, თუ უნებურად შევსცოდე ღმერთს ან უსიამოვნება რამ მოგაყენე ჩემს სიცოცხლეშიო... გაუფრთხილდი შენ შვილებს. აი, უკანასკნელად კიდევ გადმოჰხედა გიორგის და მოაპყრა მომაკვდავი თვალები... მშვიდობითო, ეუბნებოდა და თითქოს თავს ნელა უქნევდა. დარჩა მარტოდ გიორგი, ობლად, უნუგეშოდ. შვილები გარს ეხვევიან და გულ-საკლავად ტირიან... გიორგის სული ყელში მოებჯინა, სუნთქვა გაუხშირდა, გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო, თვალებზე მორეული ცრემლი ველარ შეიმაგრა და ღაპა-ღუპით ჩამოსცვივდა. ჩუმად, უხმაუროდ ქვითინებდა. წამ და უწუმ ცხვირს იხოცავდა და ხელსახოცით თვალებს იწმენდავდა.

ამ ცრემლებმა თითქოს ცოტა შვება მისცა, გული ამოითქვა და ისევ მწარედ განაგრძო მუშაობა.

ამ დროს უცებ სარდაფის თავზე ქუჩიდგან ცხენებას გაკრული თქარა-თქური მოესმა, რომელშიაც ნაზად ერთვოდა რეზინიან თვლების რბილი ხმაურობა. გიორგიმ უნებურად მაღლა აიხედა. ეს ოლანეზ მარკოზიჩის კალიასკა იყო. მეეტლეს გვერდით უჯდა ჩერქეზულს ტანისამოსში კოხტად გამოწყობილი ლაქია, ოლანეზ მარკოზიჩი თავის მეუღლით ვოგზალზე მიბრძანდებოდა, რომ მესამე საათის საავარაკო მატარებლით ბორჯომში გამგზავრებულიყო, სადაც მას ელოდა სასუფეველი და სამოთხისებური ნეტარი ცხოვრება.

დაინახა თუ არა გიორგიმ კალიასკა, უცებ თვალები ძირს ჩამოუშვა და ასე დარჩა გაოგნებულსავით. თითქოს გაქვავდა, გაშეშდაო, და ამ დროს ასეთი მწვავე ტკივილი იგრძნო გულში, თითქოს ერთი რამ საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა ვინმეო. თავისი თავი რაღაც არარაობად ეჩვენა, უმნიშვნელო მატლად, რომლის გაჭყლეტა და გასრესაც შეეძლო ყველას და ამ დროს სიბრალულსაც კი არავინ იგრძნობდა. საცოდავად მოიკუმშა, სახე დაემანჭა, გველივით სისინი დაიწყო და ასრე გამხეცებულს უნდოდა ავარდნილიყო მაღლა, სცემოდა კალიასკას და სულ ლუკმა-ლუკმად ექცია, მაგრამ იგრძნო თავისი უძლურება, არარაობა, და ეს გამწვავებული სულის კვეთება სახარელ კვნესად-ღა აღმოხდა გულიდგან.

უცებ კიბეზე შეგირდმა ჩამოირბინა, და ასე ხმა ამოუღებლივ ოსტატის წინ გაჩერდა. ბოლოს როგორც იყო ამოიღუღლუღა:—«გარდაიცვალაო».

ლეჟ.

ვიქნიოთ, რომ თიბეთელებთან შევკრავთ პირობას; რომელიც მტრულს დამოკიდებულებას ბოლოს მოუღებს»,

**ბელგრადი.** სერბიის მეფემ დეპეშა გაგზავნა პეტერგოფს და როგორც თავის, აგრეთვე სერბიის ერის სახელით მიულოცა ხელმწიფე იმპერატორს და ხელმწიფა იმპერატრიცას მემკვიდრის დაბადება და გამოუცხადა გულწრფელი სურვილები, რომელიც უნდა თანაუძღოდეს ახლად შობილს მემკვიდრეს რუსეთის ტახტისას, სლავიანთა სასოებას.

**სტამბოლი** (კორ. ბიურო). სულთანმა დეპეშით მიულოცა ხელმწიფე იმპერატორს ტახტის მემკვიდრის დაბადება.

**ჩიფუ.** (რეიტერი) როგორც ცინდაოდან დეპეშით იუწყებიან, «ცესარევიჩს» ლუზა ჩაუშვია და ზღვის ნაპირის ახლოთ გაჩერებულა. იაპონელებმა მოითხოვეს, გემები საბრძოლველად გამოვიდვენო, იმათ უპასუხეს, რომ იმ გემებს იარაღს აჰყრიანო. კონტრ-ნაღმოსნები «ბეზშუმნი» და «ბეზპოშჩადნი» ცოტათი დაზიანებულან. კონტრ-ნაღმოსანი «ბეზსტრაშნი» არ დაზიანებულა.—გერმანიის კრეისერი «ტეტისი» ჩიფუდან ცინდაოს წავიდა.—ხმა დადის, რომ ტოგოს ესკადრა შანჰაისაკენ გაემგზავრაო.

**მოსკოვი.** დღეს მოვიდა მოსკოვში მეფის შიკრიკი გენერალ-ადიუტანტი დოლგორუკი. შუადღისას მიძინების ტაძარში მოხელეთა და ქალაქის წარმომადგენელთა თანადასწრებით გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი და პროტოდიაკონმა მანიფესტი წაიკითხა. პირველ საათზე ქალაქის საბჭოში არაჩვეულებრივი კრება იყო. მოისმინეს რა მანიფესტი, საბჭომ დაადგინა გამოუცხადოს მათს უდიდებულესობათა უქვეშევრდომილესნი გრძნობანი, დააფუძნოს პროფესიონალური სასწავლებელი სამასი ბავშვისათვის, სასწავლებელს ერქმევა სახელად «სასწავლებელი ცესარევიჩი ალექსეისა», ითხოვოს უმაღლესი ნებადართვა, რომ მიართვან მათს უდიდებულესობათა ხატი წმინდა ალექსისა და 30 ათასი მანეთი სავადმყოფო ხარჯების პატივების ნება მიეცეთ. საბჭოს მინდობილობით, ქალაქის თავმა მიართვა თავად დოლგორუკს ძვირფასი თასი, ვაჭრებმა მემკვიდრის დაბადების სახსოვრად გადასდეს 100 ათასი მანეთი დაჭრილთათვის თბილი ტანისამოსის შესაძენად და მოქალაქეთა შვილთათვის დააარსეს 50 სტიპენდია.

**ბუქარესტი.** 31 ივლისს ორი ვაგონი სხვა და სხვა ნივთები გაეგზავნა პეტერბურგს წითელ ჯვარს, ეს ნივთები შესწირა მეფე-დედოფალმა.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

# განცხადებანი


ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. გ. თოფურ ას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.




მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდონტინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და იყიდება

მორეულ ადმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

იყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотности.




გამოვიდა მეექვსე გამოცემა წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნების

## კატალოგისა,

რომელიც მსურველს შეუძლიან მიიღოს უფასოდ მაღაზიიდგან.



ვერცხლისა



ოქროსი


ტფილ. გამოფენა.




## ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ნაირს ფერს ზეთით გალესილს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ხაცმობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგილას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დავუთმობ პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% პეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადალო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—8)

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და მშვიდებული იყვეთ **იყიდეთ,** მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბელლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაწარმოებია.

(5—6—)

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა

## „ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვათ, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ ის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

### დაარსებულია 1847 წელს

| | | |
|---|---|---|
| მირითადი | თანხა | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო | თანხა | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, აირყებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის ნადეჟდას„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოშა, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—45)

ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.

### კერძო სავაჟო სასწავლებელი I რიგ. გუგონ ტრეიმერისა

მოსამზადებელის კლასითა და პანსიონით.

ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაჭერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების ლის პირველსაცა და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლებია. დაიწყება სწავლა 16 მარიამობისთვეს 1904 წ. არზის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.



# ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.П.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს.

## ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი ს

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ლ ე რ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—28).